**ხელშეკრულება № 115**
**სახელმწიფო შესყიდვების შესახებ**
(წარმომადგენლობითი ხარჯები)

**ქ. თბილისი** **30 სექტემბერი 2016 წელი**

ჩვენ, ერთის მხრივ, **სსიპ „მეწარმეობის განვითარების სააგენტო“** (შემდგომში - ,,შემსყიდველი”) წარმოდგენილი დირექტორის **ანა კვარაცხელიას** სახით (**მის:** ქ. თბილისი, მარჯანიშვილის №5/16-18; **ტელ:** 2960010; **ს/კ:** 204582763; **საბანკო რეკვიზიტები:** სახელმწიფო ხაზინა, კოდი: TRESGE22, ა/ა 200122900 )

მეორეს მხრივ, **შპს „ბრიკო კავკასუსი“** (შემდგომში - ,,მიმწოდებელი”) წარმოდგენილი დირექტორის **მამუკა დოლიძის** სახით (**მის:** თბილისი, მარშალ გელოვანის №8.; **ს/კ:** 405067494; **საბანკო რეკვიზიტები:** სს „ბანკი რესპუბლიკა”, კოდი: REPLGE22 ა/ა GE80BR0000010286532759),

”სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის საფუძველზე, მეწარმეობის განვითარების სააგენტოს, მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის (ო/კოდი 24010301) 2016 წლის დაფინანსების ფარგლებში, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ცხრილში მოცემული სხვადასხვა ავტონაწილების შესყიდვა (შემდგომში - საქონელი):

| საქონლის დასახელება | რაოდენობა | ერთეულის ფასი | ჯამი |
|---|---|---|---|
| ელ. ავტომატი 1P C16 4500A(CPV31214110) | 2 | 6,55 | 13,10 |
| გამანაწილებელი კოლოფი 15`(CPV31230000) | 1 | 10,75 | 10,75 |

1.2. საქონლის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა.
1.3. საქონლის მიწოდების ადგილია შემსყიდველის ადგილსამყოფელი.

## 2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ღირებულება განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში დღგ-ს ჩათვლით და შეადგენს 23.85 (ოცდასამი ლარი და 85 თეთრი) ლარს.
2.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს შესყიდვასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა სახის გადასახადსა და მოსაკრებელს.

## 3. მიღება-ჩაბარების წესი, ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მხარეების მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.
3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს ფაქტობრივად მიწოდებული შესყიდვის ობიექტის შესაბამისად, ინვოისის, მიღება ჩაბარების აქტის და წარმოდგენილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე (არსებობის შემთხვევაში), მისი გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის განმავლობაში.
3.3 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელის მომწერი პირია სსიპ მეწარმეობის განვითარების სააგენტოს ოფის მენეჯერი გიგა ხარჩილავა, რომელიც არ იმყოფება ”მიმწოდებელთან” ინტერესთა კონფლიქტში.

## 4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და სხვა პირობები

4.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე არაუგვიანეს 2016 წლის 2 ნოემბრისა.
4.2. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული ყველა მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომლებიც გაიცვლება მხარეთა შორის, ფორმდება ქართულ ენაზე ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება ხელმომწერ მხარეებთან.

## 5. მხარეთა რეკვიზიტები

| ”შემსყიდველი” | ”მიმწოდებელი” |
|---|---|
| სსიპ „მეწარმეობის განვითარების სააგენტო“ | შპს „ბრიკო კავკასუსი“ |
| დირექტორი | დირექტორი |
| ანა კვარაცხელია | მამუკა დოლიძე |
| ------------------- | ------------------- |